



საქართველოს მთავრობის მოხსენება
2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების
მიმდინარეობის შესახებ

თბილისი
2025 წელი

მიმდინარე ძირითადი ეკონომიკური ტენდენციები

შესავალი

პოსტპანდემიური მაღალი ეკონომიკური ზრდის შემდეგ 2024 წელსაც შენარჩუნდა მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი და წლიურმა ზრდამ 9.4% შეადგინა.

2025 წელი საკმაოდ მაღალი ეკონომიკური ზრდით დაიწყო, პირველ კვარტალში ეკონომიკურმა ზრდამ 9.8% შეადგინა, ხოლო მეორე კვარტალში საშუალო ზრდამ 7.3% შეადგინა. რაც შეეხება მიმდინარე წლის პირველი 7 თვის რეალურ ზრდას, ის კვლავ მაღალ დონეზეა და წინასწარი შეფასებით, 8.1%-ს უტოლდება. ხაზგასასმელია, რომ მაღალი ეკონომიკური ზრდა როგორც საგარეო სექტორის, კერძოდ ტურიზმის ზრდით, ისე შიდა აქტივობით იყო განპირობებული. მიმდინარე წლის ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოხმარების ამალგებამ, რომელსაც 2022 წლიდან მუდმივად დადებითი გავლენა ქონდა ეკონომიკურ აქტივობაში. 2025 წლის ივლისის თვეში ეკონომიკური ზრდა 6.5% იყო. ამავე პერიოდში გაიზარდა ინფლაციის მაჩვენებელიც და 2025 წლის იანვარ-აგვისტოს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 3.5% შეადგინა.

არსებული ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, მიმდინარე წლის სექტემბერში განახლდა მაკროეკონომიკური პროგნოზები.

განახლებული პროგნოზების საბაზისო სცენარის მიხედვით 2025 წლისათვის:

-) ეკონომიკური ზრდის პროგნოზი წინა წელთან შედარებით არ შეცვლილა და 6.0%-ზე შენარჩუნდა;
-) მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორის პროგნოზი გაიზარდა და 3.9%-ის დონეზე განისაზღვრა;
-) მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური მაჩვენებელი თავდაპირველად დაგეგმილი 99.2 მლრდ ლარიდან, მიმდინარე წელს 101.2 მლრდ ლარამდე გაიზარდა, რაც მშპ-ს დეფლატორის ზრდით არის განპირობებული;
-) ბიუჯეტის დეფიციტი უცვლელი დარჩა და კვლავ 2.5% შეადგინა;
-) მთავრობის ვალის მაჩვენებელი უცვლელი დარჩა და 35.9% შეადგინა.

საბაზისო სცენარის პარალელურად მომზადებული იყო მაკროეკონომიკური პარამეტრების ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები, რომლებიც დაფუძნებულია კონკრეტული რისკების მატერიალიზაციის ალბათობებზე.

თავდაპირველი პროგნოზით ოპტიმისტური სცენარი ითვალისწინებდა 7.4%-იან ეკონომიკურ ზრდას 2025 წელს და ნეგატიური რისკების ნაკლებად მატერიალიზაციის შემთხვევაში იყო ამ მაჩვენებლის მიღწევის შესაძლებლობა, საბაზისო სცენარი კი 6.0 პროცენტთან ზრდას ითვალისწინებდა. მიმდინარე გაზრდილი აქტივობების მიუხედავად საბაზისო პროგნოზი კვლავ 6.0 პროცენტზე შენარჩუნდა.

ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები

მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა

საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2025 წლის პირველი ექვსი თვის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან 8.4 პროცენტი შეადგინა. აქედან, 2025 წლის I კვარტალის საშუალო რეალურმა ზრდამ 9.8 პროცენტი, ხოლო II კვარტალში ზრდამ 7.3 პროცენტი შეადგინა.

2025 წლის პირველი ნახევრის ეკონომიკურ აქტივობაში ზრდა აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: ინფორმაცია და კომუნიკაცია 33.0 პროცენტი, განათლება 28.3 პროცენტი, ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები 20.3 პროცენტი, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები 16.1 პროცენტი, ხელოვნება, გართობა და დასვენება 13.4 პროცენტი, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები 10.3 პროცენტი, სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება 10.0 პროცენტი, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები 8.5 პროცენტი და სხვა.

კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში

2025 წლის პირველ ნახევარში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 13.5 პროცენტით, ხოლო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 14.2 პროცენტით გაიზარდა. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 25.8 ათასი ადამიანით.

ფასები

2025 წლის აგვისტოში ინფლაციის დონემ წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (წლიური ინფლაცია) 4.6 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდისათვის, საშუალო ინფლაცია 2.6 პროცენტის დონეზეა (12 თვის საშუალო).

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 10.0 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 3.35 პროცენტული პუნქტით აისახა; ჯანმრთელობის დაცვა: ჯგუფში ფასები მომატებულია 9.3 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 0.78 პროცენტული პუნქტით აისახა; ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ჯგუფში ფასები გაიზარდა 4.7 პროცენტით, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინდექსში 0.3 პროცენტული პუნქტი შეადგინა; სხვადასხვა საქონელი და მომსახურება: ჯგუფში ფასები მომატებულია 5.5 პროცენტით, რაც წლიურ ინდექსზე 0.27 პროცენტული პუნქტით აისახა; ტრანსპორტი: ჯგუფში ფასები შემცირდა 2.4 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე -0.31 პროცენტული პუნქტით აისახა.

საგარეო სექტორი

2025 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 16 250.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 8.8 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 4 448.2 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (6.7 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 11 802.7 მლნ აშშ დოლარს (9.7 პროცენტით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2025 წლის იანვარ-აგვისტოში 7 354.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 45.3 პროცენტია.

საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის პირველი ადგილი ევროკავშირს უკავია, რომლის წილი 2025 წლის იანვარ-აგვისტოს მთლიანი საქონელბრუნვის 20.7 პროცენტს შეადგენს. მას მოსდევს თურქეთი - 12.2 პროცენტი, აშშ - 11.5 პროცენტი და რუსეთი - 10.5 პროცენტული წილებით.

ექსპორტში 21.2 პროცენტით პირველ ადგილზე ყირგიზეთია (943.1 მლნ აშშ დოლარი), შემდეგ მოდიან ყაზახეთი 12.9 პროცენტით (572.9 მლნ აშშ დოლარი), ევროკავშირი 11.4 პროცენტით (505.0 მლნ აშშ დოლარი), რუსეთი 10.8 პროცენტით (480.7 მლნ აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი 10.4 პროცენტით (460.8 მლნ აშშ დოლარი).

იმპორტში პირველი ადგილი ევროკავშირს უჭირავს 24.8 პროცენტით (2 553.1 მლნ აშშ დოლარი), შემდეგ მოდიან აშშ 15.3 პროცენტით (1 801.0 მლნ აშშ დოლარი), თურქეთი 15.1 პროცენტით (1 779.8 მლნ აშშ დოლარი), ჩინეთი 10.4 პროცენტით (1 225.1 მლნ აშშ დოლარი), რუსეთი 10.4 პროცენტით (1 224.8 მლნ აშშ დოლარი) და ა.შ.

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზე მსუბუქი ავტომობილებია 38.9 პროცენტით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები 5.4 პროცენტი, სპირტიანი სასმელები 3.9 პროცენტი, ყურძნის ნატურალური ღვინოები 3.7 პროცენტი და ფეროშენადნობები 3.1 პროცენტი.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე მსუბუქი ავტომობილებია, რომელსაც მთლიან იმპორტში 20.5 პროცენტის წილი უკავია. შემდეგ მოდიან: ნავთობი და ნავთობპროდუქტები 7.2 პროცენტი, სურათები, ნახატები და პასტელები, ხელით შესრულებული 4.1 პროცენტი, სამკურნალო საშუალებები 3.8 პროცენტი და ნავთობის აირები 2.4 პროცენტი.

ფულადი გზავნილები

2025 წლის იანვარ-აგვისტოში წმინდა ფულადი გზავნილები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.3 პროცენტით გაიზარდა და 2 110.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (105.4 მლნ აშშ დოლარით მეტი). წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა რუსეთიდან 28.1 პროცენტით და 274.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (106.8 მლნ აშშ დოლარით ნაკლები); წმინდა ფულადი გზავნილები გაზარდილია: აშშ-დან - 20.8 პროცენტით და 432.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (74.4 მლნ აშშ დოლარით მეტი), იტალიიდან - 8.8 პროცენტით და 395.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (31.9 მლნ აშშ დოლარით მეტი), გერმანიიდან - 18.5 პროცენტით და 193.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (30.2 მლნ აშშ დოლარით მეტი), საბერძნეთიდან - 10.6 პროცენტით და 174.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (16.8 მლნ აშშ დოლარით მეტი).

ტურიზმი

2025 წლის პირველ ნახევარში, საქართველოს 2 810.5 ათასი საერთაშორისო ვიზიტორი ეწვია (2024 წლის ექვსი თვის მონაცემებით, ვიზიტორების რაოდენობა 2 687.9 ათასს შეადგენდა), რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემზე 4.6 პროცენტით მეტია. მათ შორის, ტურისტული ვიზიტორების რაოდენობა 2 270.4 ათასს შეადგენს, რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემზე 6.9 პროცენტით მეტია (წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია).

2025 წლის პირველ ნახევარში, ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 1 971.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 3.8 პროცენტით (72.6 მლნ აშშ დოლარით მეტი) მეტია გასული წლის მაჩვენებელზე (წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი).

ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების ანალიზი (2025 წლის იანვარი-აგვისტო)

2025 წლის იანვარ-აგვისტოში შემოსავლების სახით ნაერთ ბიუჯეტში მოზილიზებულია 18 532.7 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 67.0 პროცენტს შეადგენს. ხოლო გადასახადების ფაქტიური მაჩვენებელი 16 551.4 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 65.4 პროცენტია. 2025 წლის იანვარ-აგვისტოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მლნ ლარი


დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 8 თვის ფაქტი	შესრულება %
შემოსავლები	27,665.0	18,532.7	67.0%
გადასახადები	25,305.0	16,551.4	65.4%
გრანტები	290.0	152.6	52.6%
სხვა შემოსავლები	2,070.0	1,828.7	88.3%

მიმდინარე საგადასახადო შემოსავლების ანალიზი

2025 წლის იანვარ-აგვისტოში ნაერთ ბიუჯეტში გადასახადების სახით მოზილიზებულია 16 551.4 მლნ ლარი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9.1 პროცენტით (1 378.6 მლნ ლარით მეტი) მეტია.

2024-2025 წწ იანვარ-აგვისტოს გადასახადების ფაქტიური მაჩვენებლები


მლნ ლარი



- საშემოსავლო გადასახადის წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 8 055.0 მლნ ლარს. 8 თვის მდგომარეობით მობილიზებულია 5 445.1 მლნ ლარი, რაც წლიური პროგნოზის 67.6%, ხოლო 9 თვის პროგნოზის 90.6%-ია.
- მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 3 070.0 მლნ ლარს. 8 თვის მდგომარეობით მობილიზებულია 1 872.6 მლნ ლარი, რაც წლიური პროგნოზის 61.0%, ხოლო 9 თვის პროგნოზის 78.5%-ია.
- დღგ-ს საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 10 170.4 მლნ ლარს. 8 თვის მდგომარეობით მობილიზებულია 6 441.4 მლნ ლარი, რაც წლიური პროგნოზის 63.3%, ხოლო 9 თვის პროგნოზის 85.5%-ია.
- აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 2 650.0 მლნ ლარს. 8 თვის მდგომარეობით მობილიზებულია 1 649.0 მლნ ლარი, რაც წლიური პროგნოზის 62.2%, ხოლო 9 თვის პროგნოზის 85.3%-ია.
- იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 150.0 მლნ ლარს. 8 თვის მდგომარეობით მობილიზებულია 95.2 მლნ ლარი, რაც წლიური პროგნოზის 63.5%, ხოლო 9 თვის პროგნოზის 83.5%-ია.
- ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 700.0 მლნ ლარს. 8 თვის მდგომარეობით მობილიზებულია 604.7 მლნ ლარი, რაც წლიური პროგნოზის 86.4%, ხოლო 9 თვის პროგნოზის 111.6%-ია.
- სხვა გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 510.6 მლნ ლარს. 8 თვის მდგომარეობით მობილიზებულია 443.3 მლნ ლარი, რაც წლიური პროგნოზის 86.9%, ხოლო 9 თვის პროგნოზის 221.6%-ია. აღსანიშნავია, რომ 2025 წლის 8 თვის მონაცემებით, ზედმეტად გადახდილი გადასახადების (დღგ) დაბრუნების მაჩვენებელმა შეადგინა 1 647.0 მლნ ლარი.

**ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა,
იანვარ-აგვისტო 2022-2025წწ.**

მლნ ლარი



- ა) არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები შემოსავლის წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 500.0 მლნ ლარით, მიმდინარე წლის 8 თვის მდგომარეობით მობილიზებულია 373.5 მლნ ლარი, რაც წლიური პროგნოზის 74.7%-ს შეადგენს.
- ბ) ფინანსური აქტივების კლების (სესხების დაბრუნება) წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 320.0 მლნ ლარის ოდენობით. მიმდინარე წლის 8 თვის მდგომარეობით მობილიზებულია 214.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური პროგნოზის 67.0%-ს შეადგენს.

საქართველოს 2025 წლის 8 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულება

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები დაგეგმილია 27 560.8 მლნ ლარის ოდენობით. 8 თვის განმავლობაში მობილიზებულია 17 676.6 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 64.1%, ხოლო 9 თვის გეგმის 88.3%-ია.

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 23 434.9 მლნ ლარით. საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 15 638.7 მლნ ლარი, ანუ წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 66.7%, ხოლო 9 თვის პროგნოზის 90.2%-ია.

2025 წლის 8 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

დასახელება	2025 წლის გეგმა	8 თვის ფაქტი	+/-	მლნ ლარი %
შემოსავლები	23,434.9	15,638.7	-7,796.2	66.7%
გადასახადები	21,885.0	14,175.8	-7,709.2	64.8%
გრანტები	199.9	149.6	-50.3	74.8%
სხვა შემოსავლები	1,350.0	1,313.3	-36.7	97.3%

2025 წლის გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 21 885.0 მლნ ლარით. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 14 175.8 მლნ ლარი, ანუ წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 64.8%.

2025 წლის 8 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

დასახელება	2025 წლის გეგმა	8 თვის ფაქტი	+/-	მლნ ლარი %
გადასახადები	21, 885.0	14,175.8	-7,709.2	64.8%
საშემოსავლო გადასახადი	7, 369.0	4,962.6	-2,406.4	67.3%
მოგების გადასახადი	3, 070.0	1,872.6	-1,197.4	61.0%
დამატებული ღირებულების გადასახადი	8, 136.0	5,153.1	-2,982.9	63.3%
აქციზი	2, 650.0	1,649.0	-1,001.0	62.2%
იმპორტის გადასახადი	150.0	95.2	-54.8	63.5%
სხვა გადასახადი	510.0	443.3	-66.7	86.9%

გრანტების 2025 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 199.9 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 149.6 მლნ ლარი, ანუ წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 74.8%. მათ შორის:

- საინვესტიციო გრანტები 27.0 მლნ.ლარი;
- სსიპ - ებიდან მიღებული გრანტები 75.2 მლნ.ლარი;
- მიზნობრივი გრანტები 47.4 მლნ.ლარი;

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 350.0 მლნ ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 1 313.3 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 97.3%.

სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

დასახელება	მლნ ლარი			
	2025 წლის გეგმა	8 თვის ფაქტი	+/-	%
სხვა შემოსავლები	1,350.0	1,313.3	-36.7	97.3
შემოსავლები საკუთრებიდან	680.0	890.5	210.5	131.0
პროცენტები	350.0	206.0	-144.0	58.9
დივიდენდები	300.0	670.1	370.1	223.4
რენტა	30.0	14.3	-15.7	47.7
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	130.0	110.6	-19.4	85.1
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	126.0	107.2	-18.8	85.1
სალიცენზიო მოსაკრებლები	0.5	0.5	-0.01	98.4
სანებართვო მოსაკრებლები	85.0	75.8	-9.2	89.1
სარეგისტრაციო მოსაკრებლები	2.4	1.2	-1.2	50.3
სახელმწიფო ბაჟი	30.0	24.7	-5.3	82.4
საკონსულო მოსაკრებელი	1.8	1.2	-0.6	68.8
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	5.5	3.3	-2.2	59.1
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.8	0.5	-0.3	67.9
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	4.0	3.4	-0.6	84.4
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	190.0	122.4	-67.6	64.4
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	350.0	189.8	-160.2	54.2

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულია 216.3 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (300.0 მლნ ლარი) 72.1%, ხოლო 9 თვის პროგნოზის 94.9%-ია. აღსანიშნავია, რომ პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში ირიცხება კვარტლის ბოლო კვირაში, შესაბამისად 8 თვის მონაცემები რეალურად ასახავს 6 თვის მაჩვენებელს და მესამე კვარტალში მობილიზებული თანხა ჩაირიცხება სექტემბრის ბოლოს.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულია 269.2 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (400.0 მლნ ლარი) 67.3%-ია, ხოლო 9 თვის პროგნოზის 135.9%-ია.

ვალდებულებების ზრდის სახით ჯამში დაგეგმილია 3 425.9 მლნ ლარის მიღება. 8 თვეში მობილიზებულია 1 552.5 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 45.3%, ხოლო 9 თვის გეგმის 68.9%-ია. მათ შორის:

- ✓ **საშინაო ფასიანი ქაღალდების** გამოშვებით დაგეგმილია 1 600.0 მლნ ლარის მობილიზება. 8 თვის მდგომარეობით მობილიზებულია 1 006.6 მლნ ლარი რაც წლიური გეგმის 62.9%, ხოლო 9 თვის გეგმის 88.7%-ია;

- ✓ **საინვესტიციო პროექტების ათვისება** დაგეგმილია 1 225.9 მლნ ლარის ოდენობით, საიდანაც 8 თვეში ათვისებულია 471.6 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 38.5%, ხოლო 9 თვის გეგმის 57.6%-ია;
- ✓ **ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების** სახით დაგეგმილი 600.0 მლნ ლარიდან მიღებულია 74.2 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 12.4%.


ამასთან, ვალდებულების კლების მაჩვენებელი დაიგეგმა 1 414.2 მლნ ლარის ოდენობით, რომლის ფაქტიურმა შესრულებამ 8 თვეში შეადგინა 934.5 მლნ ლარი, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის 66.1%-ია. შესაბამისად ვალდებულებების წმინდა ზრდამ 618.0 მლნ ლარი შეადგინა.

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 8 თვის შესრულება

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 27 941.7 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 17 039.1 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 61.0%-ია. მათ შორის:

2025 წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობით **ხარჯების** წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 21 963.3 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 14 159.9 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 64.5%-ია.

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 8 თვის ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (საკასო შესრულება)



საანგარიშო პერიოდში ხარჯების შესრულება ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით განისაზღვრა:


- ✓ „შრომის ანაზღაურების“ მუხლი - 1 865.3 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (3 017.6 მლნ ლარი) 61.8%-ს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული „ხარჯების“ 13.2%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 10.9%-ს შეადგენს.
- ✓ „საქონელი და მომსახურების“ მუხლი - 1 438.4 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმის (2 476.8 მლნ ლარი) 58.1%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 8.4%-ს შეადგენს.
- ✓ „პროცენტის“ მუხლი - 1 288.1 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმის (1 745.0 მლნ ლარი) 73.8%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 7.6%-ს შეადგენს.
- ✓ „სუბსიდიების“ მუხლი - 652.6 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 024.9 მლნ ლარი) 63.7%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 3.8%-ს შეადგენს.
- ✓ „გრანტების“ მუხლი - 1 139.2 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 987.4 მლნ ლარი) 57.3%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 6.7%-ს შეადგენს, მათ შორის:
 - ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერების საკასო შესრულებამ შეადგინა 926.1 მლნ ლარი (მ.შ. 807.1 მლნ ლარი - კაპიტალური დანიშნულების გრანტები და 119.1 მლნ ლარი - მიმდინარე დანიშნულების გრანტები);
 - საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის და უცხო სახელმწიფოთა მთავრობებისათვის გადასაცემა გრანტმა შეადგინა 26.9 მლნ ლარი.
- ✓ „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი - 5 734.0 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური პარამეტრის (8 450.5 მლნ ლარი) 67.9%-ს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული „ხარჯების“ 40.5%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 33.7%-ს შეადგენს.
- ✓ „სხვა ხარჯების“ მუხლი - 2 042.3 მლნ ლარის ოდენობით, რაც წლიური გეგმის (3 261.0 მლნ ლარი) 62.6%-ს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული „ხარჯების“ 14.4%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ასიგნებების 12.0%-ს შეადგენს. „სხვა ხარჯების“ მუხლის სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად მიიმართა 569.6 მლნ ლარი, ხოლო სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად - 1 472.8 მლნ ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 047.1 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 1 734.3 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 42.9%-ია.

ფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 517.1 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 210.4 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 40.7%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 414.2 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 934.5 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 66.1%-ია.

ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება თვეების მიხედვით წლიურ ფაქტთან შედარებით (2020-2025 იანვარი-აგვისტო)



შენიშვნა: 2021 წელს გაზრდილი გადასახდელების მოცულობა გამოწვეული იყო საგარეო ვალდებულებების ზრდით, რაც განაპირობა ევრობონდების გადაფარვის მიზნით 2021 წელს 1.7 მილიარდი ლარის ახალი ევრობონდის გამოშვებით.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები


მლნ ლარი

დასახელება	2025 წლის დაზუსტებული გეგმა (31.08.2025)	2025 წლის 8 თვის ფაქტი	სხვაობა (წლიური დაზუსტებული გეგმა-საკასო ხარჯი)	ფაქტი/წლიური გეგმა
გადასახდელები	27,941.7	17,039.1	10,902.6	61.0%
ხარჯები	21,963.3	14,159.9	7,803.4	64.5%
შრომის ანაზღაურება	3,017.6	1,865.3	1,152.3	61.8%
საქონელი და მომსახურება	2,476.8	1,438.4	1,038.4	58.1%
პროცენტი	1,745.0	1,288.1	457.0	73.8%
სუბსიდიები	1,024.9	652.6	372.3	63.7%
გრანტები	1,987.4	1,139.2	848.2	57.3%
სოციალური უზრუნველყოფა	8,450.5	5,734.0	2,716.5	67.9%
სხვა ხარჯები	3,261.0	2,042.3	1,218.7	62.6%
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,047.1	1,734.3	2,312.8	42.9%
ფინანსური აქტივების ზრდა	517.1	210.4	306.7	40.7%
ვალდებულებების კლება	1,414.2	934.5	479.7	66.1%

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 2 528.3 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (4 149.1 მლნ ლარი) 60.9%-ია. აღნიშნული თანხიდან 798.4 მლნ ლარი წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისათვის გადაცემულ ტრანსფერებს (მ.შ. 720.4 მლნ ლარი - კაპიტალური დანიშნულების გრანტები და 78.0 მლნ ლარი - მიმდინარე დანიშნულების გრანტები);
- ✓ თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 1 063.2 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 727.2 მლნ ლარი) 61.6%-ია;
- ✓ საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 1 413.7 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (2 368.9 მლნ ლარი) 59.7%-ია;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობის ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 897.7 მლნ ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებლის (3 794.0 მლნ ლარი) 50.0%-ია;
- ✓ გარემოს დაცვის ხაზით დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულია 211.3 მლნ ლარის გამოყოფა, ხოლო 8 თვეში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 115.9 მლნ ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 54.8%-ია;
- ✓ საბინაო-კომუნალური მეურნეობის დაფინანსებაზე დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულია 358.0 მლნ ლარის გამოყოფა, ხოლო 8 თვეში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 262.1 მლნ ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 73.2%-ია;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვის ხაზით დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 1 399.3 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (2 029.2 მლნ ლარი) 69.0%-ია;
- ✓ დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 414.1 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (660.1 მლნ ლარი) 62.7%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების ხაზით დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 2 070.7 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (3 509.8 მლნ ლარი) 59.0%-ია;
- ✓ სოციალური დაცვის ხაზით დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 4 729.3 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (7 202.6 მლნ ლარი) 65.7%-ია;

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის რვა თვის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში (საკასო შესრულება)



წლიური საბიუჯეტო კანონის დაზუსტებული გეგმით სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის მიზნით განსაზღვრულია 3 155.0 მლნ ლარი, ხოლო რვა თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 2 218.4 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის 8 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა 1 408.7 მლნ ლარი. აქედან, ვალდებულების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 500.3 მლნ ლარი, ხოლო ვალდებულების დაფარვისათვის მიიმართა 908.3 მლნ ლარი.
- ✓ საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის 8 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა 809.7 მლნ ლარი. აქედან, ვალდებულების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 787.7 მლნ ლარი, ხოლო ვალდებულების დაფარვისათვის მიიმართა 22.0 მლნ ლარი.

საქართველოს სახელმწიფო ვალი

2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალის ნაშთმა მიმდინარე წლის ბოლოსთვის შეადგენს 35 507.4 მლნ ლარს, მათ შორის:

	<i>მლნ ლარი</i>
სახელმწიფო ვალი	35,507.4
სახელმწიფო საგარეო ვალი	24,498.8
სახელმწიფო საშინაო ვალი	11,008.6
მთავრობის ვალი	34,599.2
მთავრობის საგარეო ვალი	23,584.5
მთავრობის საშინაო ვალი	11,014.7

2025 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისათვის გადარიცხულმა ტრანსფერებმა შეადგინა 928.7 მლნ ლარი, მათ შორის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ასიგნებებიდან გადარიცხულ იქნა 95.1 მლნ ლარი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებებიდან - 12.0 მლნ ლარამდე და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასიგნებებიდან - 2.4 მლნ ლარი. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისათვის გადარიცხული ტრანსფერიდან (პროგრამული კოდი - 57 04) მიმდინარე ტრანსფერი შეადგენს 78.0 მლნ ლარს (მ.შ. სპეციალური ტრანსფერი - 68.2 მლნ ლარი), ხოლო კაპიტალური ტრანსფერი - 719.6 მლნ ლარი (მ.შ. სპეციალური 379.7 მლნ ლარი).

მუნიციპალიტეტების მიერ მისაღები დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 034.0 მლნ ლარი, საიდანაც მიმდინარე წლის 8 თვის მდგომარეობით შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 1 288.3 მლნ ლარს, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის 63.3%-ია.

მუნიციპალიტეტების მიხედვით დაგეგმილი და ფაქტიური მოცულობები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

N	დასახელება	ათასი ლარი	
		მუნიციპალიტეტებში 2025 წელს გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადი	
		2025 წლის პროგნოზი	2025 წლის 8 თვის ფაქტი
1	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	667,349.2	422,554.9
2	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	73,066.8	46,249.1
3	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	36,394.4	23,060.2
4	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	24,912.9	15,717.0
5	ქედის მუნიციპალიტეტი	19,021.5	12,109.8
6	შუახევის მუნიციპალიტეტი	15,000.0	9,533.2
7	ხულოს მუნიციპალიტეტი	15,000.0	9,533.2
8	ახმეტის მუნიციპალიტეტი	22,217.0	14,042.2
9	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	27,576.9	17,520.6
10	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	14,082.9	8,889.1
11	თელავის მუნიციპალიტეტი	28,836.3	18,293.5
12	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	21,104.0	13,398.1
13	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	28,764.7	18,035.9
14	სიღნაღის მუნიციპალიტეტი	15,000.0	9,533.2
15	ყვარელის მუნიციპალიტეტი	15,247.0	9,662.1
16	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	70,771.0	44,832.0
17	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	23,659.2	14,944.0
18	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	10,611.7	6,699.0
19	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	27,239.1	17,134.1
20	ბაღდათის მუნიციპალიტეტი	11,367.2	7,214.4
21	ვანის მუნიციპალიტეტი	11,696.9	7,472.0

N	დასახელება	მუნიციპალიტეტებში 2025 წელს გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადი	
		2025 წლის პროგნოზი	2025 წლის 8 თვის ფაქტი
22	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	27,243.0	17,262.9
23	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	16,434.1	10,435.0
24	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	22,519.4	14,299.9
25	საჩხერის მუნიციპალიტეტი	24,418.7	15,459.3
26	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	11,008.9	6,956.7
27	ხონის მუნიციპალიტეტი	11,352.6	7,214.4
28	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	15,000.0	9,533.2
29	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	49,181.8	31,176.3
30	აბაშის მუნიციპალიტეტი	10,441.4	6,570.2
31	მარტვილის მუნიციპალიტეტი	16,386.6	10,435.0
32	მესტიის მუნიციპალიტეტი	15,000.0	9,533.2
33	სენაკის მუნიციპალიტეტი	18,681.1	11,852.1
34	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	11,163.1	7,085.5
35	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	12,875.0	8,116.1
36	ხობის მუნიციპალიტეტი	14,975.4	9,533.2
37	გორის მუნიციპალიტეტი	69,791.6	44,187.9
38	ქარელის მუნიციპალიტეტი	21,489.9	13,655.7
39	კასპის მუნიციპალიტეტი	22,529.9	14,171.0
40	ხაშურის მუნიციპალიტეტი	26,963.9	17,005.3
41	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	60,573.5	38,390.7
42	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	15,000.0	9,533.2
43	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	15,000.0	9,533.2
44	დმანისის მუნიციპალიტეტი	19,497.0	12,367.5
45	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	16,290.2	10,306.2
46	მარნეულის მუნიციპალიტეტი	45,493.1	28,728.6
47	წალკის მუნიციპალიტეტი	15,000.0	9,533.2
48	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	15,000.3	9,533.2
49	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	29,557.8	18,680.0
50	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	10,802.5	6,827.9
51	ბორჯომის მუნიციპალიტეტი	15,000.0	9,533.2
52	ადიგენის მუნიციპალიტეტი	15,915.2	10,048.6
53	ასპინძის მუნიციპალიტეტი	12,340.8	7,858.5
54	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	15,000.0	9,533.2
55	ახალციხის მუნიციპალიტეტი	27,344.3	17,262.9
56	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	15,000.0	9,533.2
57	დუშეთის მუნიციპალიტეტი	18,630.5	11,852.1
58	თიანეთის მუნიციპალიტეტი	11,319.5	7,214.4
59	მცხეთის მუნიციპალიტეტი	16,030.9	10,048.6
60	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	7,077.5	4,509.0
61	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	13,266.6	8,373.8

N	დასახელება	მუნიციპალიტეტებში 2025 წელს გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადი	
		2025 წლის პროგნოზი	2025 წლის 8 თვის ფაქტი
62	ლენტეხის მუნიციპალიტეტი	7,695.9	4,895.5
63	ონის მუნიციპალიტეტი	9,083.8	5,797.2
64	ცაგერის მუნიციპალიტეტი	11,705.0	7,472.0
	ჯამი	2,034,000.0	1,288,277.0

სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდების შესრულება

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა 20 255.1 ათასი ლარი;

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნების საკასო შესრულებამ შეადგინა 404 920.1 ათასი ლარი;

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნების საკასო შესრულებამ შეადგინა 8 932.2 ათასი ლარი;

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მიიმართა 1 839.4 ათასი ლარი, მათ შორის შესაბამისი სააღსრულებო ბიუროების საინკასო დავალებებით, სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვაზე სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში, იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 1 712.2 ათასი ლარი (ფიზიკური პირების სასარგებლოდ 1 386.8 ათასი ლარი, ხოლო იურიდიული პირების სასარგებლოდ – 325.5 ათასი ლარი).

სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთი

2024 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა (ოპერატიული) შეადგინა 2 023.7 მლნ ლარი.

2025 წლის 8 თვის შესრულების მაჩვენებლები სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით

კოდი	დასახელება	მლნ ლარი		
		2025 წლის დაზუსტებული გეგმა (01.09.2024 მდგომარეობით)	გადახდა	%
	სულ ჯამი	27,941.7	17,039.1	61.0%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	109.3	53.7	49.1%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	10.0	3.5	35.2%
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	1.0	0.5	57.7%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	31.4	14.3	45.4%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	25.3	15.6	61.9%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	129.1	51.4	39.8%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	6.8	3.6	53.0%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	20.8	12.1	58.1%
09 00	საერთო სასამართლოები	164.5	82.5	50.1%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	12.6	4.4	35.1%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.5	0.8	55.6%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.7	55.9%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.5	0.9	58.7%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.3	0.8	62.2%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.6	53.6%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.8	63.5%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.7	59.6%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.6	0.8	54.6%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.6	54.9%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	226.0	134.6	59.5%
21 00	საქართველოს პროკურატურა	70.8	44.2	62.5%

კოდი	დასახელება	2025 წლის დაზუსტებული გეგმა (01.09.2024 მდგომარეობით)	გადახდა	%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	5.8	3.7	63.3%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	121.0	72.7	60.1%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	947.2	440.2	46.5%
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	3,087.5	1,458.6	47.2%
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	442.1	233.5	52.8%
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	8,820.7	5,837.1	66.2%
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	215.0	129.7	60.3%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1,730.6	1,095.7	63.3%
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1,395.9	893.3	64.0%
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	814.5	469.8	57.7%
32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	3,085.0	1,894.3	61.4%
33 00	საქართველოს კულტურის სამინისტრო	303.6	149.1	49.1%
34 00	საქართველოს სპორტის სამინისტრო	301.5	225.1	74.7%
35 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	0.4	0.4	99.9%
36 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	14.8	8.9	60.4%
37 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	21.5	14.7	68.3%
38 00	სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	5.0	2.3	46.0%
39 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური	9.0	4.5	50.5%
40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	110.0	69.6	63.3%
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	10.3	5.6	54.2%
42 00	სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელი	101.2	75.9	75.0%
43 00	სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო	6.5	3.5	53.9%
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	3.6	2.4	67.8%
45 00	საქართველოს საპატრიარქო	25.0	19.1	76.3%
46 00	სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	18.0	9.1	50.8%
47 00	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი	28.0	21.6	77.2%
48 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	5.8	3.8	65.6%
49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	2.3	1.7	73.4%
50 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	7.6	5.5	72.8%
51 00	სპეციალური საგამოძიებო სამსახური	19.0	7.0	36.8%
52 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	1.2	0.6	53.5%
53 00	სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო	0.7	0.2	29.3%

კოდი	დასახელება	2025 წლის დაზუსტებული გეგმა (01.09.2024 მდგომარეობით)	გადახდა	%
54 00	ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი	5.1	2.7	53.7%
55 00	სსიპ - ანტიკორუფციული ბიურო	13.2	5.7	43.4%
56 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	25.5	14.0	54.8%
57 00	საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	5,418.7	3,428.4	63.3%
58 00	სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი	0.0	1.4	
59 00	ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი	0.0	0.1	
60 00	ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის	0.0	0.3	